დამტკიცებულია

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის აკადემიური

საბჭოს მიერ, ოქმი №08, 23.07.2019წ .

რექტორი,პროფესორი _____ მარინა ფირცხალავა

ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და კვლევით საქმიანობაში ჩართვის მეთოდოლოგია

ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და კვლევაში ჩართვის მეთოდოლოგია დაფუძნებულია შემდეგ სტრატეგიულ მიმართულებებზე:

1) უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების, კურსდამთავრებულების და შემდგომში დოქტორანტების, ასევე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მოზიდვა და ჩართვა მათი ინტერესისა და მოტივაციის ამაღლების გზით.
2) საკადრო პოლიტიკის წარმართვა ახალგაზრდა კადრის მოზიდვით და დასაქმებით აკადემიურ თანამდებობებზე.
3) შიდა საუნივერსიტეტო გამჭვირვალე საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა და დაინტერესება, უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტების გათვალისწინებით.
4) უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების, კურსდამთავრებულების და შემდგომში დოქტორანტების დაინტერესება საკუთარი სურვილისამებრ მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის პრიორიტეტულ სამეცნიერო კვლევით პროექტებში, პროექტის ხელმძღვანელის თანხმობით.
5) უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც ჩართულები იქნებიან საუნივერსიტეტო პრიორიტეტულ სამეცნიერო კვლევების განხორციელებაში შესაბამისად ანაზღაურდებიან, პროექტის დაფინანსების შემთხვევაში.
6) სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევით პროექტებში ჩართვისათვის და მათი წახალისების მიზნით, უნივერსიტეტი აფინანსებს ახალგაზრდა მეცნიერების მნიშვნელოვან საერთაშორისო პუბლიკაციას და საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობას.

7) უნივერსიტეტი მხარს უჭერს, როგორც ფინანსური ასევე ადამიანური რესურსით სტუდენტის, მაგისტრის, დოქტორანტის სხვადასხვა კვლევით თუ საქმიან ინიციატივებს, რომელიც მიმართულია უნივერსიტეტის მისიის შესრულებაზე.
8) აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად, უნივერსიტეტი აცხადებს ღია კონკურსებს ასისტენტის ვაკანსიაზე, რითაც აძლევს საშუალებას მსურველ დოქტორანტებს მიიღონ კონკურსში მონაწილეობა და დაიკავონ აკადემიური თანამდებობა.
9) გაცვლითი პროგრამების დასაფინანსებლად, რომელიც მიზანმიმართულია პროფესიულ ზრდასა და კვლევით უნარების განვითარებაზე, უნივერსიტეტში პერიოდულად ცხადდება შიდა მცირე საგრანტო კონკურსები მაგისტრანტებისათვის და ახალგაზრდა მეცნიერთათვის უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევით პრიორიტეტული მიმართულებებით.
10) უნივერსიტეტი პერიოდულად აცხადებს გარე საგრანტო კონკურსებს ახალგაზრდა მეცნიერთა და პოსტდოქტორანტებისათვის, უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევით პრიორიტეტული მიმართულებებით იმისათვის, რომ მოიზიდოს დასაქმების ღია ბაზარზე არსებული ნიჭიერი მკვლევარები, რათა საფუძველი ჩაუყაროს უნივერსიტეტის ადამიანური კაპიტალის განვითარებას.